სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080113670366915

 # 1605

18 / დეკემბერი / **2015** წ.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 15 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ SMP150001053 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს შპს „სი-ტი პარკისგან“ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების უფლების (CPV 63700000 - სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის კუთვნილ ავტომანქანებს უწევთ თბილისის ტერიტორიაზე გადაადგილება და პარკირება, შესაბამისად, აუცილებელია შპს „სი-ტი პარკისგან“ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების უფლების შესყიდვა, რათა არ მოხდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლება გააჩნია შპს „სი-ტი პარკს“. ამასთან, ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის №26.01.1232 დადგენილების შესაბამისად, დედაქალაქის ტერიტორიაზე 1 წლიანი პარკირების ნებართვის საფასური შეადგენს 50 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური დადგენილია ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის №26.01.1232 დადგენილებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით და შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით განხორციელებული შესყიდვა სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით და დაადგინა:

1. არ დაკმაყოფილდეს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ SMP150001053 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას ეთქვას უარი გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე